

ლელა საჯანია: „მინდა არა მარტო ხელისუფლება, არამედ მოქალაქეებაც იბრძნონ თავი ქვეყნის პატრონად“



ალეონი. ლელა საჯანია პროფესიით პედაგოგია. იგი 2011 წლიდან „ქართული ოცნების“ აქტიური წევრი იყო. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ საკრებულოს წევრი გახდა. არის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. არის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან არსებული გენდერულ-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

ამჟამად იგი კენჭს იყრის მოედანზე-ზვანის საარჩევნო ოლქში, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. მან ჩვენს კითხვებს გასცა პასუხი:
— პოლიტიკა თქვენს ცხოვრებაში?
— მიმაჩნია, რომ ჩემი აქტიური ცხოვრების წესით, შეხედულებებით, დამოკიდებულებებითა და პროფესიით უკვე მივალწიე გარკვეულ ნიშას. უწყვეტი 23 წლიანი პედაგოგიური პრაქტიკა ცოტა არაა. პოლიტიკა ის ასპარეზია, რომლისკენაც სწორედ საზოგადოებასთან ურთიერთობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ მიბიძგა. ბავშვებთან და მათ შობილებთან, ასევე პედაგოგიურ კოლექტივებთან ურთიერთობა ყველაზე დიდი გამოცდილება ჩემთვის. მიმაჩნია, რომ ამ პრაქტიკამ, უბრალოდ, გამაძვირა პოლიტიკაში ყოფნა.
— თუმცა, რაზედაც თქვენ აპირებთ მუშაობას თვითმმართველობაში მოსვლის შემდეგ?
— ჩემთვის ძალიან საყურადღებოა შშმ პირთა წინაშე არსებულ პრობლემებზე მუშაობა. მიუხედავად საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზისა, რომელითაც აკრძალულია დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე

შშმ პირები დღესდღეობით მანც სისტემატურად და მასობრივად განიცდიან პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას ცხოვრების ყველა სფეროში. ჩვენს მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა შშმ პირთა ჩართულობას აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ წასაღისებას, შინაარსიან და საინტერესო დასვენებას, მაგრამ მანც უამრავი პრობლემა წინაშე ვდგავართ. სრულიად შეუფერებელია მათი პირობებისთვის კერძო და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, საჯარო სივრცე და არა მარტო. დასასვენებელი, გადასაადგილებელი არეალიც კი. ეს უკვე პირდაპირი დისკრიმინაციაა, რასაც მთელი ჩემი შესაძლებლობებით დაუპირისპირდები. ასევე ხელს შეეწყობს შშმ პირთა ჩართულობის გაზრდას ისეთ საქმიანობებში, რომლებიც უშუალოდ არ მუშაობენ შეზღუდულ შესაძლებლობებზე, რომლებიც საერთოდ არ არის დაკავშირებული შეზღუდულ შესაძლებლობებთან და საერთო საზოგადოებრივი ხასიათისაა. მინდა წაგახალისო ისეთი აქტივობები, რომლებიც არაა ორიენტირებული უშუალოდ შშმ პირებზე.
— საზოგადოებრივი ჩართულობის შეწყველი შეფასება...

— დღევანდელ საზოგადოებაში უდიდეს პრობლემად მიმაჩნია სამოქალაქო აქტიუიზმის დეფიციტი. ჩვენში დამკვიდრებულია მიდგომა, რომ სამოქალაქო აქტივობა რაღაც ტიპის ორგანიზაციულ თუ არასამთავრობო სექტორს უკავშირდება. მინდა ვებრძოდ ამ ტიპის სტერეოტიპებს, გვერდით დავედგე იმ ადამიანებს, რომლებიც არც პოლიტიკური გზით აპირებენ სიარულს და არც რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები არიან. აუცილებელია მოსახლეობა ჩაერთოს თვითმმართველობაში როგორც პასიურად, ისე აქტიურად. მაიწვინოს ხმა ხელისუფლებას, მოახდინოს გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, სამოქალაქო აქტიურობით დაიცვას თავისი შეხედულებები და ინტერესები. ვფიქრობ ჩვენს საზოგადოებას მუტი ინფორმაციის მიწოდება ესაჭიროება. ამიტომაც ყოველთვის გვერდით დავედგები ჩემი ამომრჩევლების სამოქალაქო ინიციატივებს. ხელს შეეწყობს იმ აქტივობებს, რომლებიც ჩვენს მოქალაქეებს აგრძნობინებს საკუთარ პასუხისმგებლობებს. მინდა არა მარტო ხელისუფლებამ, არამედ მოქალაქეებმაც იგრძნონ თავი ქვეყნის პატრონად, ადამიანად, რომელსაც შეუძლია

გაიღოს დრო და ენერჯია იმისათვის, რომ რაღაც შეცვალოს, თუნდაც მის მიკროგარემოში.
ჩემი საკრებულოში მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ ახალგაზრდობის პრობლემებს. დღევანდელ საზოგადოებაში ახალგაზრდას არ ძალუძს ერთი ხელისმომხმობით გაიკაფოს გზა წარმატებისკენ, მითუფრო, როცა გარემოც ვერ ხვდება სათანადო, დამოუკიდებელ ცხოვრებაში ფეხის შესადგმულად. ყველაზე მთავარი და აქტიუალური პრობლემები, რაც მკვეთრად არის გამოხატული ახალგაზრდებში ეს არის ინიციატივების არარსებობა, ნაკლები ჩართულობა ინტელექტუალურ თუ სოციალურ პროექტებში, არახელსაყრელი პირობები იმისა, რომ ახალგაზრდამ შეძლოს განავითაროს და წარმოაჩინოს საკუთარი გონებრივი შესაძლებლობები.
მინდა მოვასწინო ჩემი შესაძლებლობების მობილიზება. ამ მიზნით ჩემს კოლეგებთან ერთად შევქმნი გარემოს, სადაც ვიმსჯელებთ და ჩამოვყალიბებთ საერთო კონცეფციას თანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემებზე და მათ გადაჭრის გზებზე.
— წარმატებებს ვისურვებთ...



ქალი ორი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

შოპროკვირძოლი გამომცემბა. № 37 (10231) 25 სექტემბერი, 2017 წ. შპსი 50 თმთრ0.

გაზეთი გამომცემი
1931 წლიდან
5 ინტერნეტზე

ავტოკატასტროფას აფხაზეთის ომის ვეტერანი შეეწირა



ალეონი. 19 სექტემბერს, დაახლოებით 01 საათზე, უბედური შემთხვევა რაჭაში, სოფელ ხოტევეში მოხდა. ტრაგიკური, რომელსაც ასფალტის სატკეპნი მოწივობილობა გადაჰქონდა, მოსახვევში გზიდან გადავიდა, ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების საცხოვრებელ სახლში შევარდა. ავარიის შედეგად მძიმეწონიან ავტომანქანა „ვოლვოს“ მისაბმელზე ჯაჭვებით დამაგრებული სატკეპნი მოწივობილობა მოწყდა და მძღოლი და კიდევ ორი მგზავრი იმსხვერპლა.
მძიმეწონიანი ავტომობილი ერთ-ერთ საგზაო კომპანიას ეკუთვნოდა, ხოლო ავტომობილის ქ. ოზურგეთში (ექსტრად) მცხოვრები, 58 წლის ბიძინა ცენტრარაძე მართავდა.
ბიძინა ცენტრარაძე ავღანეთის ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში იბრძოდა.
იგი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოზურგეთში, „ქართული ოც-

ნების“ მობილური ჯგუფის წევრი იყო. არჩევნების შემდეგ მან ერთ-ერთ საგზაო კომპანიაში დაიწყო მუშაობა.
— ბიძინა გამოცდილი მძღოლი იყო. ამ ბოლო პერიოდში ტექნიკის გაუმართაობას უწიოდა. სწორედ ამიტომ იგი ამ ტრაგედიამდე მთელი კვირა სახლში იმყოფებოდა. ორ კვირაში მძიმეწონიანი ავტომობილი უნდა შეეკეთებინათ. სარემონტო სამუშაოების დაწყებიდან 5 დღე იყო გასული, კომპანიიდან დაურეკეს — შენი ავტომობილი უკვე შეაკეთეს, ჩამოდი ერთი დღით, ასფალტის სატკეპნი მოწყობილობები გადაიტანე რაჭაშიო. გვესმოდა, ბიძინა სატელეფონო საუბარში ეძვს გამოთქვამდა ასე სწრაფად ავტომობილის სრულყოფილ შეკეთებაზე, მით უმეტეს ერთი კვირით ადრე აღნიშნულ ავტომობილის ელექტროობას ცეცხლი მოეკიდა და ბიძინას გამოცდილებამ, სწრაფმა და სწორმა მოქმედებამ ავტომობილი დაწვას გადაარჩინა. დამით მოუწია რაჭაში გაბეზარება. ავტომანქანას წესისამებრ საავტოლო ეკიპაჟი ან სხვა სპეციალური მანქანა არ აცილებდა — გვითხრეს ბიძინა ცენტრარაძის ახლობლებმა.
გავრცელებული ინფორმაციით, გამოიბედა სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის წესების დარღვევის გულისხმობს, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

შპს-ს პოლიტიკური რეკლამა

საზეიმო მიღება ბათუმში

სომხეთის რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან, დამოუკიდებლობის 26-ე წლისთავთან დაკავშირებით ბათუმში საზეიმო მიღება გაიმართა, სადაც სომხეთის გენერალურმა კონსულმა იელიშე სარგსიანმა ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე მუხლელესთან ერთად მიიწვია.
— „საქართველოსა და სომხეთის კეთილმეზობლური ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. სომხური მოსახლეობა ოზურგეთის განუყოფელი ნაწილია და ჩვენ მეგობრულად და პატივისცემით ვცხოვრობთ ერთმანეთის გვერდით.“ — განაცხადა ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ.



სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა 2017“

ალეონი. სოფელ შემოქმედში სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა 2017“ და რეგიონალური ფოლკლორის ფესტივალი „ფუძეობა“ გაიმართა, სადაც გურიის ოთხივე მუნიციპალიტეტის ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ასევე მგალობელ-მომღერალთა გუნდები იყვნენ წარმოდგენილი.
გაიმართა ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა და გურიული ტრადიციული კერძების მო-



მზადება — დაგემოვნება. ფოლკლორის ფესტივალიში მონაწილეობდნენ ანსამბლები: „გახტანგური“, „იალინი“, „შემოქმედი“, „მხედრები“, „აისი“, „გურია“, „რეხეული“, „ურეკი“, „მანდილი“, „ზენაარი“, „ამალეა“, „ნართი“, ...

სახალხო დღესასწაულის და ფოლკლორის ფესტივალის მონაწილეებს, სტუმრებს მიესალმა გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე.
სალამო ანსამბლს „მეზავრების“ კონცერტით და ფიფერეკებით დასრულდა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით -12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოქმბათი აციონზე
«ალიონით»

უფასო პოლიტიკური რეკლამა ბები სიორიძე: „მე თუ შეგპირდებით, აუცილებლად შევასრულებ“

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი ბეგი სიორიძე და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოფელ შრომიდან დავით ჭაკელიძე ადგილობრივ ამომრჩევლებს შეხვდნენ. შეხვედრა სოფლის ცენტრში გაიმართა, რომელიც „ქართული ოცნების“ ოზურგეთის შტაბის თავმჯდომარე დავით ლურჯუაშვილმა გახსნა. შრომელებს მიესალმა ოზურგეთის თეატრის დირექტორი, საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ **ვასილ ჩიგოვიძე.** ოზურგეთის მერობის კანდიდატმა **ბეგი სიორიძემ** ამომრჩევლებს ესაუბრა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განხორციელებულ პროექტებზე, როგორც ოზურგეთში, ისე სოფელ შრომაში და სამომავლო გეგმები გააცნო. ბეგი სიორიძის და დავით ჭაკელიძის მხარდაჭერა გამოხატა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩიამ, შემდეგ სიტყვით დავით ჭაკელიძე გამოვიდა. ამომრჩევლებმა **ეთერ გაბეჩავამ,**

ცისანა დიასამიძემ და მზევინარ თურმანიძემ სოფლის პრობლემებზე ისაუბრეს. ჩვენ აუცილებლად მხარს დავუჭერთ „ქართულ ოცნებას“, მაგრამ გვინდა ხელისუფლების მეტი ყურადღება, რომ სოფელს ჰქონდეს ბუნებრივი აირი, წყალი, მოგზავნიდნ „ფაროსანას“ წინააღმდეგ ბრძოლაში და აშენდეს ახალი ბაგა-ბაღის შენობა -თქვენს ცისანა დიასამიძემ და მზევინარ თურმანიძემ. - არ მიყვარს დაპირებების მიცემა, მაგრამ დანაპირებს ყოველთვის ვასრულებ: ბუნებრივი აირი სოფელ შრომაში 2018 წლის ბოლომდე ექნება, წყალი ცოტა უფრო მოგვიანებით. საბავშვო ბაღის შენობა სოფელში მომავალი წლის ბოლომდე აშენდება. რაც შეეხება „ფაროსანას“, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს ამ მეტად სამიმ მავნებელთან გასამკლავებლად. იყო ხარვეზები შეწამვის დროს, მაგრამ ამას ცალკეულმა ადამიანებმა შეუწყვეს ხელი. სპეციალისტების რჩევით ამ ეტაპზე მოსახლეობაც უნდა ჩაერთოს მავნებელთან წინააღმდეგ ბრძოლაში და მათ უფასოდ დაურიგდებთ მერადღირებული ამერიკული პრეპარატები, რათა პრევენციული ზომები საკუთარ ფართობებში გაატარონ -აღნიშნა ბეგი სიორიძემ.



საინფორმაციო კომპანია „არ გაიმეორო“



ალიონი. გასულ პარასკევს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის საარჩევნო მედიაციულ ცენტრში გაიმართა შეხვედრა საინფორმაციო, სოციალური კამპანიის ფარგლებში: „არ გაიმეორო“. შეხვედრას ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კოორდინატორის მოადგილე თამარ კუპრაძე უძღვევდა. -საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრავს საარჩევნო-საავტორიტაციო მასალის განთავსებასა და არჩევნების შემდგომ მის ჩამოსხმასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ცდილობენ კანონის მოთხოვნების დაცვას, თუმცა არჩევნების შემდგომ შინაბანაკების ფასადზე რჩება საავტორიტაციო მასალის ნარჩენების კვალი, რაც იწვევს ქალაქის იერსახის დამახინჯებას. შეხვედრის მიზანია საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლობის და ამომრჩევლების ინფორმირება საარჩევნო საგ-

იტაციო მასალასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს საარჩევნო და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციების შესახებ. ასევე, საშუალო პასუხისმგებლობის ამაღლების და პრევენციის მიზნით, საინფორმაციო კამპანიის წარმოება სოციალურ ქსელში, რაც ნიშნავს ფოტომასალის განთავსებას ე.წ. ჰუმეინგით - „არ გაიმეორო“, -თქვა თამარ კუპრაძემ. თემის გარშემო გაიმართა დებატები, სადაც საყურადღებო წინადადებები წამოაყენეს: ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო გოგუაძემ, ამავე საკრებულოს დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ, თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ლადო ვადაჭკორიამ, ქალაქ ოზურგეთის მერიის განყოფილების გამგე ირინა კობაღიშვილმა, „ევროპული საქართველოს“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე მხიელ გოგოტიშვილმა, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელმა მირზა ჩხიკვიშვილმა და სხვებმა. ოზურგეთის „სერვისცენტრის“ უფროსმა ვოვა სალუქვაძემ აღნიშნა, რომ რეგულაციების განთავსება არ უნდა ხდებოდეს ქალსურად. საჭიროა მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საშუალოდ შეთანხმებული მოქმედება. ამ შეხვედრის ინიციატორები ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის სტაჟიორები ანაო სარიშვილი და გიორგი გოგილაშვილი იყვნენ.

უფასო პოლიტიკური რეკლამა მიხილ გოგოტიშვილი: „ჩვენი პარტია ოზურგეთში ადგილობრივ ბრიმ არჩევნებში 9 ქალბატონითაა წარმოდგენილი“

ალიონი. პოლიტიკური მოძრაობა „ევროპული საქართველო“ ადგილობრივ არჩევნებში ოზურგეთში 9 ქალბატონითაა წარმოდგენილი - გვიტხრა „ევროპული საქართველოს“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ოზურგეთის მერობის კანდიდატმა **მიხიელ გოგოტიშვილმა.** ისინი როგორც პარტიულ სიაში არიან წარმოდგენილი, ისე მაჟორიტარ ოლქებში იბრძობენ. - ოზურგეთში, 31 მაჟორიტარი ოლქიდან „ევროპული საქართველო“ მხოლოდ დაბა ლაითურში არაა წარმოდგენილი. აქ მაჟორიტარობის კანდიდატი გარდაიცვალა და მისი ხსონის პატივსაცემად სხვა არ დავაყენეთ. ქალბატონები შემდეგ ოლქებშია წარმოდგენილი, პარტიულ ნომრებსაც გატყვევით: მაია ქოქიშვილი - შემოქმედში (№6); თეონა მურუსიძე - გურიანთაში (№9); თეონა წიტიანიშვილი - მთისბირში (№10); მარინა მაჭარაშვილი - კონჭკათში (№16); ლია ჯიხვაშვილი - ბაილეთში (№17);



გულნაზი დაუშვილი -თხინვალში (№19); თინათინ სოსელია - ვაკე-იჯვარში (№22); მანანა ვორბენაძე -ჯუმათში (№24); მაკა პავლიაშვილი - ლიხაურში (№25) -გვიტხრა გოგოტიშვილმა. „ევროპული საქართველოს“ პირველი ათეული ადგილობრივ არჩევნებში ასე იქნება წარმოდგენილი: მიხიელ გოგოტიშვილი, ჯაბა ლლონტი, შაქრო ბუგაკაშვილი, კობა ლომაძე, გიორგი როყვა, მაია ქოქიშვილი, ლევან ჩხაიძე, იური ცინცაძე, თეონა მურუსიძე, თეონა წიტიანიშვილი.

უფასო პოლიტიკური რეკლამა შოთა გოგბერიძე ოზურგეთის მერობაზე იყრის კენჭს

ალიონი. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **შოთა გოგბერიძე** ოზურგეთის მერობის თანამდებობაზე იყრის კენჭს. შოთა გოგბერიძემ ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიაში მაჟორიტარი კანდიდატების და პარტიული სია წარადგინა. - „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარები ოზურგეთის 22 მაჟორიტარულ ოლქში იქნება წარმოდგენილი, რაც შეეხება პარტიულ სიას, აქ ყოველი მესამე



ქალია. სულ პარტიულ სიაში 30 ადამიანი გვყავს პარტიიდან - გვიტხრა შოთა გოგბერიძემ.

უფასო პოლიტიკური რეკლამა მოსახლეობის ნდობის მანდატის მოსაპოვებლად



ალიონი. საქართველოს ლეიბორისტული პარტიიდან 8 ქალბატონი იბრძობებს ოზურგეთში

საკრებულოს წევრის მანდატის მოსაპოვებლად, აქედან 6 მაჟორიტარ ოლქშია წარმოდგენილი. ლეიბორისტები სულ 19 მაჟორიტარ ოლქშია წარმოდგენილი -გვიტხრა ამ პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ოზურგეთის მერობის კანდიდატმა **დავით მამალაძემ.** პარტიული სიის პირველი ათეულში 4 ქალბატონია. ათეული ასე გამოიყურება: დავით მამალაძე, ლელა ჯიშკარიანი, აკაკი თავლეშაძე, სოფო ხომერიკი, ომარ ირემაძე, ზაზა თავაძე, ნანა ლომაძე, ალექსანდრე გორდელაძე, ნანა ლეღევა, გურამ ბაბილოძე.

ქალაქ ოზურგეთის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა სისხლის გადასხმის აქციაში მიიღეს

გასულ პარასკევს ოზურგეთში სისხლის გადასხმის აქცია – „გაილე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე!“ გაიმართა, სადაც მონაწილეობა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა მიიღეს. აღნიშნული აქცია შპს „პემა 2012“-ის სისხლის ბანკმა და შპს „მედალფას“ ოზურგეთის სამედიცინო ცენტრმა ერთობლივად ჩაატარა.

საქველმოქმედო აქციის დევიზია – „შენ-

თვის წვეთი სისხლი სხვისთვის სიცოცხლეა, გამოიჩინეთ გულისხმიერება და ერთად გადავარჩინოთ სიცოცხლე“

ყოველ 3 წამში ვიღაცას სჭირდება სისხლი, მისი საჭიროება ყველაზე მაღალია ავტოკატასტროფების, დამწვრობების, გულის იპერაციების, ორგანოების გადანერგვის დროს. ასევე, სისხლი და სისხლის კომპონენტები მუდმივად სჭირდებათ ლეიკემიით დაავადებულ პაციენტებს.



ოზურგეთში უსახლკარო ცხოველთა თავშესაფარი გაიხსნა



ალიონი. 22 სექტემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთში (სოფელ ბაილეთის საზღვართან) უსახლკარო ცხოველთა თავშესაფარი გაიხსნა. გახსნას ცხოველთა დაცვის ფედერაციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც ცხოველთა დაცვის ფედერაციისა დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციის თავმჯდომარე თემურ ლაჭვიანიძე გვითხრა, თავშესაფარში მოხდება მიუსაფარ ცხოველთა სტერილიზაცია(კასტრაცია), ვაკცინაცია და იდენტიფიკაციით მოემსახურება გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებს. მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი მოწყობილია საქართველოს ცხოველთა დაცვის

ფედერაციისა და ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

ინდემწარმე გოგი მალაფერიძის თქმით თავშესაფარი მოემსახურება არა მარტო გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებს, მათ მომსახურებისთვის სამტრედიისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებამც მიმართეს.

ცხოველთა დამცველებმა აღნიშნეს, რომ მთავარი თავშესაფარებიდან ძაღლების ბუნებრივ არეალში დაბრუნებაა.

გაზეთი „ალიონი“ ერთ-ერთი პირველი იყო რეგიონში, რომელიც 10-12 წლის წინ მიუსაფარ ცხოველების დაცვის პრობლემებზე წერდა.

ეკოლოგიური პრობლემა, რაზედაც ყველა უნდა დაფიქრდეს

რაგანაღ შეხება გლობალური კლიმატური ცვლილებები სამართავლო? ამ საკითხზე საინტერესოა მოვისმინოთ საქართველოს აზრი

პრესით და ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დაიწყო მიწისქვეშა სამალავი ოთახების მშენებლობა, რომლებიც ადამიანებს დაიცავენ მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფებისგან, ატომური აფეთქებებისგან, ეპიდემიებისა და სხვა უარყოფითი მოვლენებისგან. ოთახებთან ერთად მიწის ქვეშ შენდება სხვა საკომუნიკაციო საშუალებები, რომლებიც საჭიროა ადამიანის გამოსაგდებად, გასაბრუნებლად. თითოეული ასეთი ოთახის ღირებულება რამდენიმე მილიონი დოლარია. ოთახების უმრავლესობა უკვე გაყიდულია. მომავალში დაგეგმილია კიდევ რამდენიმე ასეთი სამალავი ოთახის მშენებლობა.

როდესაც აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი მონაწილემ ჩვენი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენციის პროგრამის კრებულში (2011წელი) მეცნიერ მკვლევარების ე. გორდამისა და ე. ჟორჯიანიანის მიერ გამოქვეყნებული სტატიის „რამდენად შეუძლებელია გლობალური კლიმატური ცვლილებები საქართველოს“ ძირითადი შინაარსის ფართო მკითხველისათვის გაცნობა:

„გლობალურ კლიმატურ ცვლილებებს, იწვევს ჩვენი გალატეტიკის შესვლა ექსტრემალური სინოპტიკური სიტუაციის ზონაში. ინგლისელი კლიმატოლოგის ჰეიზერ ლემის აზრით, თუ ტემპერატურის აწევის ტენდენცია შენარჩუნებული იქნა, მაშინ 2200 წლისათვის მოსალოდნელია საშუალო ტემპერატურის აწევა 6-გრადუსით, იმ დროისთვის დედამიწაზე იქნება ისეთივე კლიმატი, როგორც იყო 70 მილიონი წლის წინათ, როდესაც ჩვენს პლანეტაზე დინოზაურები მეფობდნენ.

დადგენილია, რომ დედამიწაზე 400 ათასი წლის განმავლობაში მრავალჯერ განიცადა დათბობა-გაცივების პროცესი. უკვე 100 ათასი წელია დედამიწაზე მიმდინარეობს უცარი დათბობის ინტერგლაციული პერიოდი.

ბუნებრივი პროცესებით გამოწვეულ გლობალურ პროცესებს ემატება ანთროპოგენური პროცესებით გამოწვეული სათბური ეფექტის გავლენა, რომელსაც იწვევს ატმოსფეროში სათბური ეფექტის გამოწვევი გაზების CO2, CH4, N2O, SO2 და სხვა რაოდენობის ზრდა.

10 ათასი წლის წინ დედამიწაზე იყო გამყინვარების ხანა. სკანდინავია დაფარული იყო კლიმატური სისხის ყინულით; ოკეანის ღრუ 100 მეტრით უფრო

დაბლა იყო ვიდრე დღეს. სფერანგეთის 2/3 ყინულით იყო დაფარული. მის შემდეგ ტემპერატურამ დღემდე მოიმატა მხოლოდ 4-5-გრადუსით და თუ რა ცვლილებები მომხდარი თვალნათლივ სჩანს.

საერთაშორისო ექსპერტების მიხედვით მეოცე და ოცდამეორე საუკუნეებში გლობალური კლიმატური ცვლილებების შედეგად ნალექების რაოდენობამ საგრძობლად მოიმატა. განსაკუთრებით ჩრდილო ნახევარსფეროში. გახშირდა მოულოდნელი თავსება წვიმები, ქარიშხლები, მეწყერული მოვლენები და სხვა. მოსალოდნელია ჰაერის საშუალო ტემპერატურის გაზრდა 2-4-დან 4-8-გრადუსამდე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს: მყინვარების დნობას და მსოფლიო ოკეანის დონის აწევას 1 მეტრამდე, რაც დატბორავს ზღვის სანაპირო ქვეყნებს, ოკეანურ კუნძულებს და დიდ ქალაქებს: ნიუ-იორკს, მანჰეტენს, აშტერდამს, ვენციას, ფლორიდას, სან-ფრანცისკოს, ჰუკინს, შანხაის, კალკუტას და სხვას. მყინვარების დნობას მოყვება ჯერ მდინარეთა ჩამონადენის გაზრდა, შემდეგ კი მტკნარი სასმელი და სარწყავი წყლების შექცევა. მტკნარი წყლების ზღვებსა და ოკეანეებში ჩადინება გამოიწვევს მარილიანობის შექცევას, რასაც მოყვება მრავალი სახეობის ზღვის მცენარისა და ცხოველის ამოწვევა და ახალ სახეობათა წარმოშობა. ოკეანეების გამტკნარება გამოიწვევს გოლფსტრემის თბილი დინების შესუსტებას და საბოლოოდ შეწყვეტას, რასაც მოყვება გრელანდიის, ბრიტანეთის კუნძულების, გერმანიის, პოლანდიის და სხვა ქვეყნების გამყინვარება.

გლობალური კლიმატური ცვლილებები ასევე გამოიწვევს გავლენას, ნადავლის გაუადვილებას, მდინარეებისა და ტბების დაშრობას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შექცევას, ნადავლის ეროზიის გაზრდას, ნავთობის საბადოების დაშრობას, ტყის ხანძრებს, წლის სეზონების დაკარგვას, ახალი ინფექციების წარმოშობას, ეკოსისტემების პროდუქტიულობის შექცევას, სახეობის რიცხვის შექცევას ან გაზრდას, მიწისძვრებს, ვულკანურ ამოფრქვევებს, ტორნადოების მატებას, რასაც სისტემატორულ განიცდის მსოფლიო.

როგორც აღვნიშნეთ გლობალური კლიმატური ცვლილებები ციკლური პროცესია და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია. ამ პროცესების დაჩქარების ერთ-ერთ მიზეზად მოიაზრება პლანეტაზე მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა და ტექნიკური პროგრესი. მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნები საკვებზე, წყალზე, ტყის რესურსზე, სამ-

რეწველო პროდუქტებზე, ბუნებრივ რესურსებზე (ქვანახშირი, ნავთობი, გაზი, წიაღისეული და ა.შ.)

ტექნიკური პროგრესის შედეგად ატმოსფეროს დამაბინძურებელ ქვეყნებს ითვლებიან: ა.შ.შ-30,3%; ევროპა-27,7%; რუსეთი-13,7%; იაპონია-3,7%; ჩინეთი და ინდოეთი-12,2%; არაბეთის ნახევარკუნძული-2,6%; ავსტრალია-1,3%; აფრიკა-2,5%; სამხრეთ ამერიკა-3,8%, ატმოსფეროში ჩ 2-ის რაოდენობამ 1958 წელთან შედარებით მოიმატა 13%-ით; 1750 წელთან შედარებით 25%-ით.

ბუნებრივად იმის კითხვა: რა ელის საქართველოს გლობალური კლიმატური ცვლილებების შედეგად და რა უნდა გაგვაკეთოთ მისი მოქმედების შესამცირებლად? რა თქმა უნდა დედამიწაზე მომხდარი ყველა ცვლილება საქართველოშიც აისახება, თუმცა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გამო პროცესები ისეთი მძვინვარებით არ იქნება როგორც ბევრ სხვა ქვეყნებში.

გლობალური დათბობა საქართველოში გამოიწვევს მყინვარების დნობას, დღეს უკვე დადგენილია, რომ მყინვარების გერგობის ენამ უკანასკნელ პერიოდში 150 მეტრით უკან დაიხია. მოსალოდნელია ბუნებრივი ვერტიკალური სარტყლის გადაადგილება, ფასანაურსა და თიანეთში ტყეების ადგილს სტეპები და ნახევარუდაბნობები დაიკავებს, ვაზბგეში ფართოფოთლოვანი ტყეები გაბატონდება. შავი ზღვა შეუტევს და დაიბრუნება ფიფი, ჭლადიდი, ქობულეთი, ბათუმი, ანაკლია. პალას-ტომის ტბა შავი ზღვის ნაწილი გახდება. კლიმატური ცვლილებების შედეგად მოსახლეობა მიუხედავად გავლენისა, ხელსაყრელი პირობები შექმნება მცენებელ-დავარდებებს გავრცელებისათვის, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობაზე. რა ღონისძიებები უნდა გაგვატაროთ გლობალური კლიმატური ცვლილებების შემთხვევაში?

1-კლიმატური ცვლილებების შერბილება; 2-მასთან ადაპტაცია. კლიმატური პირობების სრულად შექცევა შეუძლებელია, თუმცა პროცესი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების საშუალებებით უფრო ადვილი სამართავი ხდება. შემარბილებელ ღონისძიებებში შედის: ატმოსფეროში თერმოაქტიური არების, განსაკუთრებით CO2-ის ემისიის შექცევა. თბოენერგეტიკის ალტერნატიული დარგების პრიორიტული განვითარება. ენერგოეკონომიური ტექნოლოგიების დანერგვა, დედამიწის მწვანე საფარის შენარჩუნება და გაზრდა.

ადაპტაციური ღონისძიებების მიეკუთვნება: ეროზიის

საწინააღმდეგო ღონისძიებების მშენებლობა, ქარსაცავი ზოლების გაშენება, საირიგაციო სისტემების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შეცვლა, საცხოვრებელი პირობების შეცვლა, მშენებლობის მეთოდებისა და ტექნოლოგიების ცვლილება ისე, რომ გარემოს ნაკლები ზიანი მიადგეს. ბუნებრივი რესურსების ყაიდაიანი ხარვეჯა, უნარჩუნო წარმოების დანერგვა და სხვა.

სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ცოცხალ ორგანიზმებს და მათ შორის ადამიანებს ასასათებო ადაპტაციის დიდი უნარი. ამის დასტურია ისიც, რომ კაცობრიობამ ბევრ ცვლილებებს გაუძლო, გლობალური, ეკოლოგიური პრობლემაც ხომ მორიგი ეკოლოგიური ცვლილებაა, აღნიშნავენ ავტორები.

P.S. ამრიგად გლობალურ-კლიმატური ცვლილებები სხვა გლობალური პრობლემებთან (მშენებლობის შენარჩუნება, მოსახლეობის ზემოქმედება და ეპიდემიებისგან დაცვა, ავთვისებიანი სიმსივნეებისგან განკურნება და სხვა) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რადგან კლიმატური ცვლილებები არ ემორჩილება ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ საზღვრებს. ამასვე მეტყველობს თუნდაც ბოლო ათწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე მკვირად გამოხატული ვადავები, ტემპერატურათა მერყეობა, უხვ-ნალექანობა, სეტყვა, წყალდიდობები, მეწყერული პროცესები და სხვა, რამაც საქართველოს, როგორც გეოგრაფიულ ერთეულს, დიდი ზარალი მიყენა.

პარიზის 2015 წლის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მსოფლიოს 180-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა ერთხმად შეთანხმდა პლანეტის კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ რადიკალური ღონისძიებების გატარების თაობაზე. კონფერენციის რეზოლუციას საქართველოც შეუერთდა. იმედა მსოფლიო ცივილიზაცია მომავლის გადარჩენის მიზნით შეძლებს გლობალური კლიმატური ცვლილებების შერბილებას.

ადამიანები იყავით ფხიზლად, ყველამ უნდა გაითავისოთ მოსალოდნელი უარყოფითი მოვლენების სამიზნობა, ჩვენი ცხოვრება წარმართოთ ეკოსისტემის საკეთილდღეოდ, რათა უმტკვნელოდ და მცირე დანაკარგებით გადავიტანოთ მორიგი ეკოლოგიური ცვლილებები.

ზაურ ბაბრიძემ
ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსმ დოქტორი, პროფესორი

მოხვდება თუ არა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო საუკეთესოთა შორის



მეთოდოლოგიას და კრიტიკულ უმებს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების, ელექტრონული მმართველობის, მოქალაქეთა მონაწილეობის და ანგარიშვალდებულების სფეროებში.

როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის განმახორციელებელი გუნდის მიერ მუნიციპალიტეტისადმი გაზავნილ წერილშია აღნიშნული, ამ ეტაპისთვის დასრულებულია შეფასების პროცესი, რომელიც დაეფუძნა მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებულ და მათგან მიღებულ საჯარო ინფორმაციას. დასკვნით ეტაპზე მომზადდება და გამოქვეყნდება საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობის ერთიანი ეროვნული რეიტინგი და შეფასების

საბოლოო ანგარიში.

შეფასებებში ოზურგეთიდან მონაწილეობდა „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“ (ხელმძღვანელი ლევან ხინთიბიძე), რომელმაც შესაბამისი კვლევები 10 მუნიციპალიტეტში ჩაატარა.

მოხვდება თუ არა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო საუკეთესოთა შორის? – ამ კითხვით მივმართეთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნანა თავლეშაძეს, რომელიც იმედივნებს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი არა მარტო მიმდინარე კვლევაში, არამედ მსგავს სხვა კვლევებშიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება:

„20 სექტემბერს ისტორიაში პირველად საქართველო 75 ქვეყნისგან შემდგარი ორგანიზაცია „ღია მმართველობა“

პარტნიორობის“ (OGP) თავმჯდომარე გახდა, რომლის სამოქმედო გეგმაში, საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველი ჩაერთო, რაც პოზიტიური ცვლილებების საფუძველი ხდება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, სხვა შესაბამის უწყებებთან ურთიერთკოორდინებული მუშაობის შედეგად 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულომ იქნა ახალი ვალდებულებები, რომელიც ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბებას და ელექტრონული მმართველობის დანერგვის გზით ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობათა გაძლიერებას ითვალისწინებს. აღნიშნული მიმართულებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს წარმოადგენს, რაც ასევე სრულად შეესაბამება - ის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და სამოქალაქო პრინციპებს. ახალი სამოქმედო გეგმის ვალდებულებებთან დაკავშირებით საკრებულომ ინიციატივები განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციებთან – „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“, „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან“, „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირთან“, საკრებულოსთან არსებულ „საზოგადოებრივ დარბაზთან“ ერთად შეიმუშავა და განახორციელა ერთობლივი პროგრამები. ამ უპრეცედენტო პროექტის წარმატებით განხორციელება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო არა მარტო მიმდინარე კვლევაში, არამედ მსგავს სხვა კვლევებშიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

ერთიანი ეროვნული შეფასება ხორციელდება პროექტით „ღია და ანგარიშვალდებული თვითმმართველობისათვის – მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის ეროვნული შეფასება“. პროექტს ახორციელებს: „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი“. პროექტი ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით.

15 მაისიდან დაიწყო საქართველოს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ერთიანი ეროვნული შეფასება ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით. ინდექსის მიზანია საქართველოში გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება. ინდექსი მოიცავს შეფასების

როგორ ვებრძვით და როგორ უნდა ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას



ალიონი. 18 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამმართველოს გურიის რეგიონული სამმართველოსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს წამყვან-

მასპინძლის ტემა, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის სპეციალისტებთან ერთად, ანასეულში, კახა ბენდუქიძის სახელობის საუნივერსიტეტო

კამპუსში, ღონისძიებაზე მოწვეულ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს აზიური ფაროსანის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდები, ისაუბრეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე, დაარიგეს შესაბამისი ბუკლეტები და რიფლეტები.

აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ გრანდიოზული სამუშაოები ჩაატარა მავნების ლოკალიზაციის მიზნით. მაგრამ, ჩვენი აზრით, ესრულებულ სამუშაოებს გრანდიოზულს ვერ დავარქმევთ, მაშინ შედეგი უნდა ჩანდეს გრანდიოზული, მასშტაბური შეიძლება ეწოდოს, რადგან გარკვეულ დონეზე მოხერხდა მავნების ლოკალიზება, რაც, რასაკვირველია მშვიდად ყოფ-

ნის უფლებას არ გვაძლევს.

ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები დროული და მთლად ეფექტური რომ არ იყო, გარკვეულწილად გამოჩნდა მცენარეთა დაცვის ცნობილი სპეციალისტის ანგელინა ნიკოლაიშვილის გამოხსენებაში. ქალბატონი ანგელინას თქმით, აზიური ფაროსანა, როგორც მავნებელი, ჩვენს პირობებში ბოლომდე არ იყო შესწავლილი და ეს ის კონკრეტული შემთხვევაა, როცა არცოდნა არცოდნა არ არის. მავნების ბიოლოგიურ თუ სხვა თვისებათა შესწავლელად მის წინააღმდეგ ბრძოლო სასურველ ეფექტს ვერ მოგვცემს. ამ საკითხზე მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას რომ დროული რეაგირება მოჰყოლოდა, დღეს

გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა.

პროფესორ ზაურ გაბრიძის თქმით, რომელმაც ამ საკითხზე საქართველოში ჩამოსული უცხოელ სპეციალისტთა მონაცემები მოიშველია, თხილის მოსავლის განადგურებაში აზიური ფაროსანის ხვედრითი წილი 15-20 პროცენტია, დანარჩენი სხვა მავნებელ-დაავადებებზე მოდის, ამტომ საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება.

მანვე აღნიშნა, რომ თავის დროზე დიდი შეცდომა იყო ჩაის ამოძირკვა და გაუკულტურებელ, მჟავე ნიადაგებზე, თხილის მასობრივად გაშენება. გაბრიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ჩაი, რომელიც მავანთა მიერ მონურ კულტურად იქნა შერაცხული, ყველაწარად

აპრობირებული და გამართლებული კულტურაა და თუ ვაშენებთ, უპირველესად, სწორედ ჩაი უნდა გავაშენოთ.

ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ აზიური ფაროსანა ახლა იწყებს პლანტაციებიდან გამოსვლას და გამოსაზამთრებლად საცხოვრებელ სახლებსა თუ სხვადასხვა დახურულ ნაგებობებში გადასვლას და წარმოუადგინეს მავნების წინააღმდეგ მექანიკური ბრძოლის რამდენიმე ეფექტური მეთოდი. ამ ინფორმაციაზე მუშაობისას ინტერნეტსივრცესაც გადავხედეთ და ვფიქრობთ, მკითხველი დაინტერესდება **KHASAIA WORDPRESS.COM**-ის მასალით, რომელსაც აქვე გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით:

როგორ ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას საცხოვრებელ სახლებსა და შენობებში

ექსპერტების რეკომენდაციით არსებობს მავნებელთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც მოსახლეობის მიერ აქტიურად გამოიყენება. მოგესვენებათ მავნებელი გამოსაზამთრებლად ინაცვლებს საცხოვრებელ სახლებსა და დახურულ შენობებში. მოზამთრე ფაზის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ თავშესაფარი ადგილებიდან უნდა დაიწყო. ამისათვის საჭიროა აზიური ფაროსანას მოუწყვოთ თავშესაფრის იმიტაცია. მზადდება მარტივი კონსტრუქციის მუყაოს ქაღალდის ყუთის თავშესაფარი, უკეთდება ნახვრეტები, რომელშიც მჭიდ-



როდ თავსდება მუყაოს ფირფიტები, ან სხვა მასალისაგან დამზადებული მსგავსი კონსტრუქციის ყუთები, სადაც შესაძლებელია მოვათავსოთ მჭიდროდ ტომრები, ქაღალდი, ძველი ტანსაცმელი. აღნიშნულ თავშესაფრებს, გამოსაზამთრებლად დაძრული ფაროსანების მოზიდვის მიზნით,

ათავსებენ სახლების მახლობლად, სახლის სვერზე, ავტოფარეხში, საწყობში, ყველგან, სადაც შესაძლებელი იქნება მისი განთავსება. გარკვეული პერიოდის შემდგომ აღნიშნულ თავშესაფრებს, რომლებიც დიდი ალბათობით მავნებლები გამოზამთრების მიზნით იქნებიან დაზარალებულნი, ვანადგურებთ.

ოთახში შესულ ფაროსანასთან მექანიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი მტვერსასრუტით შეგროვება და განადგურებაა.

მექანიკური მეთოდები:

ხელით შეგროვების მარტივი მეთოდი.



ნათურა, ფოლგანი ჯამი, საპნიანი წყალი. სინათლეზე მოდიან ჯამში ცვივებიან, ილუპებიან.

ჩვეულებრივი წყლიანი ჯამი და ნათურა;

მეორადი ბოთლებისაგან ხაფანგის დამზადების წესი. შიგნით იდება ნათურა, სინათლე იზიდავს მწერს, ბოთლში ვარდება.

ეს მავნებელი შესაძლე-



ბელია დაფაროთხით სხვადასხვა საშუალებებით. ისინი უფრო ხიან საპნიან წყალს, მმარს, ყველა მძაფრი სუნის დამახასიათებელ ეთერზეთებს

მავნების წინააღმდეგ საბრძოლველად შესაძლებელია ისეთი მეთოდების გამოყენება რომელიც სრულიად უვნებელი იქნება გარემოსათვის. სოკო- **Bea-**



uveria bassiana-სგან დამზადებული პრეპარატები. მაგ: ბოვერინი. სოკო, რომელიც მოხვდება მწერის ორგანიზმში იწყებს მის მოწამვლას, ასევე სოკოს მიცელიუმში მწერს მოედება სხეულის მთელ ზედაპირზე თეთრი ფიფქის სახით, რის შედეგადაც მწერი ილუპება.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრმა თავისი 150-ე თეატრალური სეზონი გახსნა

თეატრალური მარშანიშვილი



ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა პროფესიულმა თეატრმა, თავისი 150-ე თეატრალური სეზონი 20 სექტემბერს სოფელ გურიანთის კულტურის სახლში გახსნა. როგორც ცნობილია, გურულების ერთადერთი სახელმწიფო თეატრი, ფონდ „ქართუს“

სოლიდური დაფინანსებით, საკუთარი ფუძე-ჭერის სრულ რესტავრაციამდე, ანუ დაახლოებით ორი წლის განმავლობაში, წარმოდგენებს სწორედ აქ გამართავს. თავისი საუკუნენახევრიანი, საიუბილეო სეზონი დასმა დაიწყო საფირმო სპექტაკლი „დარბაზის მიღმა გაზაფხულია“ (პიესის

ავტორი – ლაშა თაბუკაშვილი, დამდგმელი რეჟისორი – ვასო ჩიგოგიძე).

თეატრის სამხატვრო ხელომდევანელის ვასო ჩიგოგიძის თქმით, ეს არის ყველაზე ისტორიული დღე თეატრის ცხოვრებაში: „ჩვენი მსურველებო, ჩვენი თეატრის სამივე თაობის წარმომადგენლებო, ჩემთვის დიდი პატივია, მოგესალმოდეთ, მოგილოცოთ ეს საიუბილეო თარიღი და გისურვოთ, სახელოვნად გაეცურებინოთ ახალი თეატრალური სეზონი. ეს გახლავთ ყველაზე ისტორიული დღე ჩვენი თეატრის ცხოვრებაში. მადლობა მინდა ვუთხრა ფონდ „ქართუს“ გრანდიოზული პროექტისათვის, რაც გულისხმობს ოზურგეთის თეატრის შენობის უახლესი მეთოდებით და მსოფლიო სტანდარტებით მთლიან რესტავრაციას, რასაც მინიმუმ ორი წელი მინც დასჭირდება; მადლობა მინდა ვუთხრა ადგილობრივ ხელისუფლებას, სოფელ გურიანთისა და

გურიანთელებს, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ თეატრის გულშემმატკივრობითა და მაღალი თეატრალური კულტურით; მადლობა დამსწრე საზოგადოებას, რომელმაც გამოიხატა დრო და საშუალება, მოვიდა, დაგვაფასა და გაიზიარა ჩვენი საიუბილეო განწყობილება“.

დამსწრე საზოგადოება დარბაზმა ვერ დაიტია და საჭირო შეიქმნა ძელსკამების ჩადგმა. მსურველთა უმრავლესობას გურიანთის საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები წარმოადგენდნენ.

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ მაინცა და მაინც სპექტაკლის მიმდინარეობისას მოუნდა ელექტროენერჯის გამორთვა, რის გამოც მსურველები რამდენიმე წუთის განმავლობაში მხოლოდ პერსონაჟების დინამიკურ სილუეტებს ხედავდა. მსახიობებმა ასეთ პირობებშიც დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი.

არც თუ ისე დიდი ხნის

წინათ, წილად ხვდა ბედნიერება მენახა ამ სპექტაკლის პრემიერა ჩვენს მშობლიურ თეატრში ჩვენივე საყვარელი მსახიობების მონაწილეობით და, როგორც მაყურებელს, შემეფასებინა წარმოდგენა. ოპონენტებმა ნამეტნავ ტენდენციურობაში რომ არ ჩამომართვან, ამჯერად მოკლედ ვიტყვი: ღირდა და ღირს ამ სპექტაკლის ნახვა ამ მართლაც შემოქმედებითი ჯგუფის შესრულებით.

150-ე სეზონში, როგორც საიუბილეო ტორტის გაჭრაზე სამხატვრო ხელმძღვანელმა აღნიშნა, თეატრი ოთხ პრემიერას მოამზადებს.

და ბოლოს, მისასალმებელია სკოლებისა და თეატრის ასეთი ურთიერთობა, მაგრამ უფრო უკეთესი იქნება, თუ მასწავლებლები და მსახიობები ხანდახან გაესაუბრებიან მოსწავლეებს სპექტაკლზე დასწრებისას დარბაზში ქცევის წესებზე.

თეატრის თემაზე განვამარტოთ ცნობილი ჟურნალისტიკა და მთარგმნელის ვაჟა ჭანუყვას კუბლიკაციების ბეჭდვას. ამჯერად ბთავაზობთ ფრაგმენტს ავტორისგან მომონებებიდან „თემაზე ჩანტლაკი“ და „გურიანში რა გინდოდა“

თემაზე ჩანტლაკი

თემაზე ჩანტლაკის უნივერსიტეტიდან ვიცნობდი. მართალი ვითხრათ, ეს ნაცნობობა მხოლოდ სასწავლო პროგრამის მიხედვით მოხდებოდა, მაგრამ როცა ოზურგეთში ჩამოვიდა მრავალი წლის შემდეგ, მონატრებული მძაკაცებოვით გადავეხვიეთ და გულთადად მოვიკითხეთ ერთმანეთი.

თემაზე უკვე ესტრადის აღიარებული მსახიობი გახლავთ და საკუთარი თეატრი „ენკი-ბენკი“ ჰქონდა ჩამოყალიბებული.

მისი სახელი იმხანად, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ქუხდა საქართველოს მასშტაბით. საყოველთაო აღიარებას იმსახურებდა ჩანტლაკისეული სცენური იუმორი. ბევრი მსმენლად თემაზე პრინციპულობის შესახებაც.

პრინციპულობის გამოხატვის ერთ-ერთი სცენის მომსწრე თვითონ ვაგხდი...

1975 წლის ზაფხული იდგა. თემაზე ოზურგეთში ორდღიანი გასტროლი ჰქონდა. იმხანად თეატრის დირექტორად ემუშავებდა და ყოველნაირად ვცდილობდი ხელი შემეწყო სრული ანშლავისთვის, რადგანაც წარმოდგენები თეატრში ტარდებოდა, მაგრამ ამას ასეთი დახმარება სულაც არ სჭირდებოდა. ბილეთებზე შეკვეთების მოხდავებაც უკვე ანონისის გამოქვეყნების დღიდან იყო საგრძობი...

პირველი სპექტაკლის წინაღვეს, დილით თემაზე ჩემს კაბინეტში შემოვიდა და მოხუცა:

„ფოსტაში ნუ წამოყვან, იქნებ როგორმე აქედან დამაკავშირო თბილისთან?..“

აღვლევებული ჩანდა. მივხვდი, სამთავრობო სტრუქტურებთან სურდა საუბარი.

ხომ მშვიდობა-მეთქი, ვკითხე.

„აი, ეს დეპუტატი მივიღე ამ დილით მთავრობიდან... მაგალბენ, გასტროლები მოვხსნა და ხვალ ახალციხეში ჩავიდე... იქ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი ტარდება და მათთვის ჩაროხად ჩემი თეატრის კონცერტი დაუგეგმათ...“

„ხელს ვინ აწერს მაგ დეპუტას?“

„კონკრეტულად არ ვიცი, მაგრამ

მთავრობიდან კი არის გამოგზავნილი...“

რომ იტყვიან, თემაზე ყალფზე დამიღდა... უცებ წარმოვიდგინე, თუ რა მოკვებოდა დანიშნული კონცერტის ჩამოღება. მთავრობის მთხოვნა ხომ კანონის ტოლფასი იყო და ვაი იმას, ვინც ურჩობას გამოიჩინდა...

„მერედა, რას აპირებთ, ბატონო თემაზე?“

„ეჰ, ჩემი ვაჟა, ძნელია მაგათთან ბრძოლა, მაგრამ მეც ჩემი ინტერესები და ანგარიშები გამანია!..“

ამსობაში ტელეფონის წკრიალიც გაისმა. საქალაქთაშორისო ხარი იყო.

ბატონმა თემაზემ ფურმილს ხელი დასტაცა და სახეზე ფერ-ფურმა გადაუარა...

მათი ლაპარაკიდან დავასკენი, რომ თემაზეს რომელიმე მაღალჩინოსანი ელაპარაკებოდა, ერთობ მომთხოვნი და იერ-არქიული ტონით, შეიძლება, ერთგვარი მუქარითაც...

მათი სატელეფონო ბაასიდან თითქმის არაფერი მესმოდა, თუმცა ბატონი თემაზეს ბოლო წინადადება სიტყვა-სიტყვით დამამახსოვრდა:

„თქვენ ამბობთ, რომ არის აზრი, აქ კონცერტი მოეხსნა და ახალციხეში ჩავიდე?... ვისი აზრია, შევარდნაძის?! არა მგონია, ბატონ ელუარდს ეს ეთქვას... წარმოდგენის ბილეთები უკვე გაყიდულია... როგორც არ უნდა დამავალით, ჩემთვის მსურველების და ხალხის ინტერესი უპირატესია... მე ხელოვანი ვარ და პასუხს ვაგებ ჩემს მოვალეობაზე.“

ასევე, მოვიჩქარედი ახალციხიდან, რომ აქეთ წამოსვლა დაგეგვებინათ... ნახვადის, ბოდიშს ვიხდით... დაერჩები თქვენი დიდად პატივისმცემელი...

საუბარი ასე დასრულდა. მე აღფრთოვანებით შევერეხედი თემაზეს, რომელიც ავლევებისაგან სულს ძლივს ითქვამდა...

ორივე კონცერტმა შემოქმედებითად მაღალ დონეზე ჩაიარა. უსაზღვროდ კმაყოფილ მსურველებს სულაც არ გაუვია, როგორი ნერვების დაწვევების ფასად დაუგდა ეს ჩვენს სათაყვანო ხელოვანს თემაზე ჩანტლაკის.

გურიანში რა გინდოდა

სერგო ახალაძე ახალ სპექტაკლზე, - ემეღიანე ქურდიანის „ათენელ ექიმზე“ მუშაობდა. ფრიად საინტერესო პიესა გახლდათ ანტიკურ თემაზე. პიესაში მრავლად იყო სასიძულერო და საცეკვაო ნომრები.

სერგო შემოიძინა: თუ გინდა კარგი სპექტაკლი გამოვიდეს, ქორეოგრაფად დავით (ტუზიკა) მაჭავარიანი მოვიწვიოთ.

ეს, ცოტა არ იყოს, ძვირადღირებული საქმე გახლდათ, მაგრამ დავემის ხარისხიდან გამოვიძინარე, დავთანხმდი. თანაც, ისედაც მინტერესებდა ამ პიროვნების გაცნობა, - მისი სახელი ვერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან მესმოდა, რომელსაც თანაბრად მოსადა დიდი ქორეოგრაფისა და საცეკვაო მამაკაცი ფოტაქციის მარჯანდელი. თავისი გაუკუღმართებული ცხოვრების გამოისობით დიდი ავტორიტეტით ვერ სარგებლობდა თეატრალურ წრეებში და უკანასკნელ პერიოდში თითქმის ჩრდილში იმყოფებოდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ჩვენი წინადადება ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღო და სინარულით გამოემურა გურიანში...

სადღურზე დავხვდით. სასტუმროში მოვათავსეთ. ის დღე დავივინეთ და შეძლებისდაგვარად ვუმასპინძლეთ. მისი გამასპინძლება ძალიან აფი დავივინე, რადგან უკვე ხნიერი სტუმარი მხოლოდ ჩაისა და ყვავზე ვადადიოდა. ეს საქმე ცირა (ფისო) ლოლაძეს და რამდენიმე ქალს მივანდეთ, რადგან მათთან რატომღაც უფრო გამოიხატა საერთო ენა...

ბატონ დავითს პიესა წაკითხული ჰქონდა და მეორე დღეს პირველ რეპეტიციაზე მოვიდა. პირდაპირ გაგვაცნო რამდენიმე ქორეოგრაფიული სცენის შინაარსი. იგრძობოდა, რომ ღრმად ჰქონდა შესისხლხორცებული არამარტო თანამედროვე ცეკვების შინაარსი, არამედ საფუძვლიანად იცნობდა ანტიკური საცეკვაო მოძრაობების საფუძვლებს.

თავისი სწავლება რომ უფრო თვალსაჩინო და ილი ვაგხდა, იქვე წარმოადგინა გურიული „ხორუძის“ ილიები...

გამასხენდა ჩვენი ლათინურის მასწავლებელი უნივერსიტეტში, პროფესორი პანტელეიმონ ბერაძე.

თავის საღოტრო დისერტაციაში წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ „ოქროს საწმისთან“ ერთად, ბერძნებმა კოლხებისგან ბერძენი რამ წაიღეს, მათ შორის ცეკვები და

ამ ვერსიის დასადასტურებლად ერთმანეთს ადარებდა პომპროსის პოემების და დაქტილურ ჰეგამეტრზე აგებულ ლექსთა წყობისა და „ხორუძის“ მოძრაობების ტემპო-რიტმებს. პოულობდა რა სრულ მსგავსებას, ლექსთაზე უბრალოდ გვეუბნებოდა: „აი ნახეთ, როგორი ფერადია ცეკვის რიტმი... პომპროსის ლექსიც გაახლოებით ამგვარი ამოსუნთქვით იკითხება“...

ბატონი დავითი მთელი სულითა და გულით იყო მოწინდებული თავისი საქმის საკეთილად, მაგრამ ვანი აღარ მოსდევდა... სმირად ისვენებდა, მალი-მალ ხელით ინივალებდა, ეტყობა, ასომც აწუხებდა... ასომიანისთვის დასავლეთ საქართველო და კერძოდ, გურია ხომ ლამის ვოვოცნეთია!

სულ სამი ცეკვა იყო გასაკეთებელი. პირველ დღეს საერთო მონახზი გააკეთა. მეორე დღეს უკვე პრაქტიკულ სწავლებაზე გადავიდა. გამოჰყავდა თითოეული მონაწილე და ყველას თავის ილეთს განუმარტავდა.

ჩვენდა სამარცხვინოდ, პიესის მონაწილენი არ აღმოჩნდნენ თანაბრად უნარიანი შეგირდები. ერთნი თუ ადვილად ითვისებდნენ, მეორენი ბატებით იყვნენ დაბნეულები და ხანგძლივ მეცადინეობას საჭიროებდნენ, რაც ბატონ დავითზე გამოიხატებოდა მოქმედება, რადგან იგი არ იყო შეწყველი სასცენო მოძრაობის მხრივ ასეთი დაბალი ღონის კოლექტივთან მუშაობას...

სიტუაცია თანდათან იძაბებოდა, ხოლო როცა ერთ-ერთმა მონაწილემ, მსახიობმა ანზორ ყურაშვილმა, რომელიც წარჩინებულ პიროვნებას ასახიერებდა, გრაციოზული მოძრაობის ნაცვლად, ფეხი ვირის ტლინკვით აქნია, დავითმა გულზე იტაცა ხელი და სკამზე მიესვენა...

ერთობ შემინებულები მივვარდით... დავითი გაფითრებული იყო, სუნთქვა უჭირდა. ქალებმა ჩვენს „აფთიაქში“ არსებული წამლები მოარბენინეს, ხოლო მე „სასწრაფო“ გამოვიძახე.

დავითს ხელზე ბრილიანტებით მოოჭვლი ბეჭედი და ერთობ ძვირადღირებული საათი ეკეთა, ვიბეძე კი მხოლოდ იმდენი ფული ელო, საბეჭავროდ რომ ეყოფოდა...

გასამრჯელო ჩვენგან უნდა მიეღო. დამდინებე კაცი დავისწარი, ეს ძვირფას-

ეულობანი შევხსენი და ჩემს სეფში შევინახე, აღწერილობითა და დამსწრეთა გვარების ფიქსირებით...

ვერავითარმა სამედიცინო დახმარებამ ავადმყოფს ვერ უშველა... იგი მალე გარდაიცვალა... ექიმებმა მითხრეს, ბევრჯერ ყოფილა ნაინფრატული, სულ ერთია, შეიძლება მატარებელშიც გარდაცვლილიყო...

დავითის დაწვებული საქმე ადგილობრივმა ქორეოგრაფმა ანზორ ვეარამაძემ შესარულა და არცთუ ურიგოდ.

ბატონი დავითის სიკვდილს კი ასეთი გაგრძობა ჰქონდა...

გარდაცვალების ცნობა მაშინვე გავუზავნეთ თბილისში ნათესავებს. იგი უშვილოდ კაცი იყო. უახლოესთაგან მხოლოდ მის დისშვილს ვეარაულობდით. მესამე თუ მეოთხე დღეს ჩამოვიდნენ. მართალია, თანამდებობის პირები იყვნენ, მაგრამ მორგე მკვდრის შენახვის ხარჯებიც ჩვენ გადაგვანდევინეს... მაშინვე მოითხოვეს: ფული და სამკაულები ექნებოდა... ისინი თეატრში წამოვიყვანე და სეფიდან შენახული ნივთები გამოვუღე... ამ დროს ჩემს კაბინეტში ბუღალტერი ჟორა ბერიძე შემოვიდა...

სტუმრებს ნივთები ჩავაბარე და გამოსამშვიდებლად ხელი რომ ჩამოვართვი, ჟორამ ბოდიშს მოიხდა და თავისი წინადადება წამოაყენა: ყველაფერი, რაც მიგაქვთ, ხელწერილით დაგვიდასტურეთ... როცა ისინი წავიდნენ, ჟორას საყვედური ვუთხარი: ამხელა თანამდებობის პირებს ხელწერილი როგორ შეჰქმედ-მეთქი... მან კი დამამშვიდა: ეს ამბავი ჩემს სინდისზე იყო...

მართლაც, არ გასულა ერთი თვე და მილიციიდან დამირეკეს: თქვენ რომ ტუზიკას ნათესავებს ნივთები გადაეცით, იმას რაღაცები აკლდა... როგორც გაირკვა, კიდევ ერთი დისშვილი გამოჩნდა, რომელსაც იმ ნივთებიდან ალბათ, არაფერი უწილადეს...

ჟორას ჩამორთმეულმა ხელწერილმა და ჩემს მიერ ნივთების აღრიხვლამ აღწერილობამ შერცხენისაგან და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გამათავისუფლა...

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი სოფლის სინამდვილეში

ბუნების მშვენიერებით შემკულ და გამრჯე ადამიანთა მარჯვენით დამშვენებულ, ძირძველ და ისტორიულ სოფელ ქვედა ბახვიში, ადგილობრივი ახალგაზრდების ზრუნვა-მოწადინებით, ღვთისმშობლობის წინააღმდეგობაში, სოფლის ცენტრში აღიმაართა და ილუმინაციით დამშვენდა კეთილისმყოფელი ჯვარი. ენთუზიასტებმა გულდასმით მოამზადეს და მოაპირკეთეს

იქაურობა. სოფელში ამჟამად ორი მოქმედი ეკლესიაა. ჯვრის აღმართვას დაესწრენ და იქაურობა აკურთხეს წმინდა სამღვდელოების წარმომადგენლებმა.

ამჟამად ორი მოქმედი ეკლესიაა. ჯვრის აღმართვას დაესწრენ და იქაურობა აკურთხეს წმინდა სამღვდელოების წარმომადგენლებმა.

გვლებილა გვაკლდა!

დაუზუსტებელი ინფორმაციით, მომიჯნავე სოფლების: ბახვისა და მშვიდობის ტერიტორიაზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა რამდენიმე მეტი შენიშნეს. ასევე, ჯერაც დაუზუსტებელი

ცნობით, იმ მიდამოებში ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას ღამდამობით ყმუილის ხმებიც გარკვევით ჩაესმოთ. თუკი ადგილობრივთა ნათქვამს ვერწმუნებით, უკვე შინაური ცხო-

ველების გაუჩინარებისა და დაკარგვის არაერთი შემთხვევაც ფიქსირდება. აღნიშნული ფაქტებით იქაური მოსახლეობა უზომოდ შემოფოთებულია.

გვპირობა გლობალური პრობლემების ფონზე

22 სექტემბერს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მულტიკულტურულ კაფე რვას+1-ში“ გაიმართა საჯარო ლექცია „მშვიდობა გლობალური პრობლემების კონტექსტში“. იდეები, ადამიანები, კონცეფციები, პოლიტიკა, უსაფრთხოება და გარემო.

ლექციას უძღვებოდა შორენა ლორთქიფანიძე, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დოქტორანტი. სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიზაციის, უსაფრთხოების,

განვითარების მკვლევარი. ლონისძიება ჩატარდა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის განვითარების“ პროგრამის ფარგლებში.

„ბახმარო“ კვლავ ერთპიროვნული ლიდერია, „მერცხალა“ მეოთხე მატჩი წააგო

ალიონი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონალიგაში („ა“ ჯგუფი), მე-18 ტურის მატჩები გაიმართა.

მომდევნო შეხვედრაში გათამაშების ლიდერს, „ბახმაროს“ უმაჰინძლებს.

ჩოხატაურის „ბახმარო“ შინ „რაჭას“ სძლია 5:0 და 44 ქულით (13 მოგება, 5 ფრე ბ/შ 41-7) კვლავ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია. წაიფორხილა ჩხოროწყუს „ლესიჭინე“, რომელიც ბათუმში დამარცხდა „დინამო 2“-თან 1:3 და 41 ქულით მეორე პოზიციაზეა.

რაც შეეხება ოზურგეთის „მერცხალს“, მან ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო, ამჯერად შინ – ქუთაისის „ტორპედო 2“-თან 3:7 და მე-8 პოზიციაზე დათმო. მას აბაშის „ზანა“ წამოეწია, რომელმაც სენაკში „ვერისის“ სძლია 3:1 და მე-8 ადგილზეა.

ამ ტურში „მაჭახელამ“ გასულით მატჩში „საირმეს“ ძლია (2:0) და 39 ქულით მიუახლოვდა „ბახმაროს“ და „ლესიჭინეს“. „მაჭახელას“ მათზე ერთი ტურით ნაკლები აქვს ნათამაშევი და

„მერცხალი“ 20 ქულით (6 მოგება, 2 ფრე, 10 წაგება; ბ/შ 32-37) გათამაშების ცხრილში მე-9 ადგილზე იმყოფება. დღეს „მერცხალი“ აბაშაში „ზანას“ შეხვდება.

იყიდება
სოფელ ბაილეთში თხილით გაშენებული 0,82 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კაპიტალურად შეღობილი ხის „კუხნა“ სასლით. პირსამპტივლია სამოსახლოდ და მშენებლობისათვის. 250 ძირი თხილი მსხმოიარება, 150 ძირი – 2 ფლის. დაგვიკავშირდით: (599) 44 15 49; (599) 03 94 95 (იპითხეთ თამაზი)

სკანვორდი

					ქალის სახელი				სოფელი სადაც ეწინისწილი ასწავლიდა	ხმელი ბალახი			ღიას							
					ქართული სამარკო ღვინო														ლიტერატურული ჟანრი	
						ტკბილი სასმელი			დღევანდელი ხელისუფლების ეპითეტი				საკუთარ თვალში რო ვერ ხედავ							
													ჯანმრთელი						ღიღი ბორცვი	
					ქართული უნივერსიტეტი								კურორტი იმერეთში							
														ქართველი წმინდანი						
					ცხენის კული								ბილიარდის ჯოხი		ბაკალაგერის შემდგომი ხარისხი				მოკლე წერილი	
													ერთჯერედ იანი არსება							
					ნადი	პირის ღრუს ნაწილი	რძის ნაწარმი	წვნიანი შეჭამანდი	ღროსი სამომი	არეულობა			ბოშები რო ჰყიდიან							ქართული გაზეთი
							ბოსგნეული		მამაკაცის სახელი	კავშირი	მკვირი									
												ტუპრუგანდ ან შეჭრილი შუქი								
						... და ბაბა			ფინური აბანო										ბნელის ანტიპოლი	
										ვარსკვლავის წყერი			მადეიძარა ფრინველი	სამი რუსულად					პირველი ორნიშნარიცხვი	

№ 36-ში გაიოქმეფებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – რომან ლომინაძე; გაზაფხულის ყვავილი – ია; – კუხნაოვი – ივა; – ცეტიკინი – კლარა; ფერადკანიანი – მავრი; მკვირი კლდე – სალი; იბულებით გადაადგილებული – ლტოლვილი; ქალის სახელი – ლილე; დაცვის უნარი – იმუნიტეტი; დიდი ხმაური – აურზაური; თბილისის მერობის კანდიდატი – კალაძე; ოტელოს ცოლი – დეზდემონა; – გიუნტერი – ანი; თოვლში ამოსული ყვავილი – ედელვაიზი; ანანის მე-9 ასო – ი; საქართველოს ნაკრების მწვრთნელი – ვაისი; ძვირფასმეტრქიანი მცენარე – თელა; უბანი ოზურგეთში – ზვანი; გოგოლის მუნჯი – მუბუ; ციდან წყლის ამოსაღები – ოწინარი; მცირე ზომის მტაცებელი ფრინველი – ალალი; ცხენაკვი – კრეტაური; გონიერი ორგანო – ტვინი; უშიშარი – გულაღი; სატელეფონო ტერმინი – ალო; მამაკაცის სახელი – ანზორი; იალქანი – აფრა; ძვირფასი თვალი – ლალი; ქართული გაზეთი – ალია; „ბატონები“ – წითელა; ტკბილეული – შოკოლადი; მეთუელი – სინა; თურქული მარგარინი – ონა; წითელი პლანეტა – მარსი; კლეი – ალი; გაკვირების შეძახილი – იფ; მინერალური წყალი – ნუგელა; კბე – პწყალა; მდინარე ციმბირში – ირტიში; თვითმფრინავის სადგომი – ანგარი



ქდიანი თვითმმართველობა ქდიანი საქართველოსთვის



ხალხური ტრადიციების აღდგენა-შენარჩუნების მიზნით



ალიონი. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ზრუნვა-მოწადინებით ორგანიზებულ პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ხალხური ტრადიციული სახელოსნოს გახსნას, შარშან გაიმარჯვა უცხოურმა „შვიდობის კორპუსმა“, რომელსაც ხელმძღვანელობს ფატიმა ჩაუდრი. მალე დაიწყება მეორე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ხალხური

ტრადიციული სახელოსნოს გახსნას, სადაც ბენეფიციარები სამი თვის განმავლობაში შეისწავლიან ხეზე მუშაობას, ქარგვას, მძივებზე მუშაობას და ჭილოფიდან სხვადასხვა ხელნაკეთის დამზადებას. პროექტში 15 ადამიანია ჩართული.

ისინი თანამშრომლობენ ასოციაცია „გურიასთან“, რომელიც ზვანში მდებარეობს.

ასევე თანამშრომლობენ სოციალურად დაუცველ ბავშვებთან.

საამისოდ მოეწყო შესაბამისი ოთახი, შეიძინეს მასალები, უკვე კიდევაც შეუდგენ საქმიანობას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნორჩები შესანიშნავად და იოლად ითვისებენ თავიანთ რჩეულ ხელობას.

მათი ნაშუქვერებმა უკვე გამოფენაზეც დაიმსახურეს მოწონება.

კერძოდ, გურიის პოპულარიზაციის მიზნით, ჩაერთონ აღნიშნულ ღონისძიებაში, ისწავლონ ეს ხელობა და სამომავლოდ თვითონ გახდნენ პედაგოგები. 15-მდე ბენეფიციარს ამჟამად 3 კვალიფიციური პედაგოგი ამზადებს.

მილოცვა

იზოლდა გოგუაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს და დიდ მადლობას გიხდით იმისათვის, რომ ღირსეული მამის – დავით გოგუაძის თქვასის ღირსეული ტრადიციებისათვის ატასდრეს გილათაციათ.

მადლობა იმისათვის, რომ ახალგაზრდა მეუღლის, მამია ურდომიანიშვილის სიკვდილმა სასტრატეგიას ან დაგაუთლა; მადლობა მშვენიერი ქალ-ვაჟის ალბერტისთვის, რომელმაც ასლა თავად ატიან დედა, მამა, ბები და მამა.

მადლობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის. სწავლული მუშაობაში აგრძენით დატვის განვითარებას დიდ უნებრებას ახმატდი.

მადლობა იმ გულთბილი შესყდრისა და მთავითვისათვის, რაც შინ ჩყულუბრივ გჩყვია. სიკეთე გინდა ყვლასათვის და ეს სიკეთე ატასდრეს მთულმდრეს შინს თქვასს.

იცთცსლე დიდხანს.

დიდი სიყვარულით: გულსუნდა მასარამე, ლელა ღვალისვილი, იამხე კილურამე.

„გურული დღიურების“ ოზურგეთელი სტიპენდიანტები



ალიონი. გასულ ოთხშაბათს, სოფელ შემოქმედში სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა 2017“ და რეგიონალური ფოლკლორული ფესტივალი „ფუქობა“ გაიმართა.

ფონდმა „გურული დღიურები“ ორ საუკეთესო ოზურგეთელ მოსწავლეს ერთი წლის განმავლობაში სტიპენდია დაუნიშნა. ესენი გახლავთ: ქალაქ ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლე ანა მენაბდე და შემოქმედის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე რეზო ზოიძე. მათ ეს ჯილდო ფონდ „გურული დღიურების“ დირექტორის მოადგილე მანანა სურგულაძემ გადასცა.

– მივესალმები ნიჭიერი ბავშვების მხარდაჭერას. ანამ ეს ჯილდო მისი ნიჭიერებით და სწავლისადმი დიდი სიყვარულის მეშვეობით დაიმსახურა – თქვა დაჯილდოების ცერემონიაზე ოზურგეთის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის დირექტორმა მარინა ტრაპაძემ.

ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ ბიზნესობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას ავტო, მერკის და იაკონური (მარტენა საჟი) სადილმრო კომპანიებიდან და აუტომონებიდან. ასევე ავტო განვადებას; პირველადი შესატანი დირეპულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მასნიშუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრემიუმტომლ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

<p>მზე, ღრუბელი +16+24 25 სექტემბერი ორშაბათი</p>	<p>მზე, ღრუბელი +16+24 26 სექტემბერი სამშაბათი</p>	<p>მზე, ღრუბელი +13+24 27 სექტემბერი ოთხშაბათი</p>	<p>ელ-ქამი +12+22 28 სექტემბერი ხუთშაბათი</p>	<p>ღრუბელი, +10+16 29 სექტემბერი-პარასკევი</p>	<p>ღრუბელი, +11+16 30 სექტემბერი შაბათი</p>	<p>მზე ღრუბელი +14+20 1 ოქტომბერი კვირა</p>
---	--	--	---	--	---	---